ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავება დაკავშირებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებთან, რომლის თანახმადაც შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის №46 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

დანართი

დამტკიცებულია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის ---------- № ----- დადგენილებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა

№	**თანამდებობის დასახელება**	**რანგი**	საშტატო ერთეული
1	**ხელმძღვანელობა**		**3**
1.1	მუნიციპალიტეტის გამგებელი	მთავარი საჯარო თანამდებობა	1
1.2	გამგებლის პირველი მოადგილე	მთავარი საჯარო თანამდებობა	1
1.3	გამგებლის მოადგილე	მთავარი საჯარო თანამდებობა	1
2	**ადმინისტრაციული სამსახური**		**50**
2.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
2.2	გამგებლის თანაშემწე	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
2.3	**საქმისწარმოებისა და საინფორმაციო მომსახურების განყოფილება**		**6**
2.4	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
2.5.	წამყვანი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
2.6	წამყვანი სპეციალისტი მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	3
2.7	სპეციალისტი (მდივან რეფერენტი)	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
2.8	**ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**		**3**
2.9	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
	წამყვანი სპეციალისტი კადრების აღრიცხვის და რეკრუტირების საკითხებში		**2**
2.10	**იურიდიული განყოფილება**		**2**
2.11	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
2.12	წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროეტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
2.13	**ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება**		**37**
2.14	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
2.15	წამყვანი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
2.16	სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	35
3	**საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური**		**12**

3.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
3.2	**საბიუჯეტო განყოფილება**		**4**
3.3	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
3.4	წამყვანი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	2
3.5	წამყვანი სპეციალისტი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების საკითხებში		1
3.6	**ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება**		**4**
3.7	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
3.8	წამყვანი სპეციალისტი ბანკთან ურთიერთობის და სახაზინო მომსახურების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
3.9	წამყვანი სპეციალისტი ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
3.10	წამყვანი სპეციალისტი სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
3.11	**მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება**		**3**
3.12	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
3.13	წამყვანი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
3.14	წამყვანი სპეციალისტი მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში		1
4	**ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**		**8**
4.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
4.2	წამყვანი სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	3
4.3	**სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილება**		**4**
4.4	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
4.5	წამყვანი სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
4.6	წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	2
6	**მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური**		**9**
5.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
5.2	**ქონების მართვის და პრივატიზების განყოფილება**		4
5.3	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
5.4	წამყვანი სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
5.5	წამყვანი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	2
5.6	**ზედამხედველობის განყოფილება**		4

5.7	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
5.8	წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
5.9	წამყვანი სპეციალისტი გარემოს დაცვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
5.10	წამყვანი სპეციალისტი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
6	**სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახური**		**9**
6.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
6.2	**კულტურის განყოფილება**		**3**
6.3	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
6.4	წამყვანი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და კურორტების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
6.5	წამყვანი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
6.6	**სოციალურ საკითხთა განყოფილება**		**5**
6.7	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
6.8	წამყვანი სპეციალისტი შრომის, სოციალურ, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	2
6.9	წამყვანი სპეციალისტი ჯანდაცვისა და ვეტერანთა მომსახურების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	**1**
6.10	წამყვანი სპეციალისტი მძიმე ეკონომიურ პირობებში, სტიქიით დაზარალებულთა და შშმ პირთა მომსახურების საკითხებში		**1**
7	**შიდა აუდიტის სამსახური**		**3**
7.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
7.2	წამყვანი სპეციალისტი მონიტორინგისა და შიდა კონტროლის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
7.3	წამყვანი სპეციალისტი ინსპექტირებისა და შიდა ფინანსური აუდიტის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
8	**საინვესტიციო გარემოს განვითარებისა და ანალიტიკური სამსახური**		5
8.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
8.2	წამყვანი სპეციალისტი საინვესტიციო ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანალიზის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	2
8.3	**ანალიტიკური განყოფილება**		2
8.4	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
8.5	წამყვანი სპეციალისტი ვებგვერდის ადმინისტრირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
9	**სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**		**9**
9.1	სამსახურის უფროსი	წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
	წამყვანი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში		**1**

9.2	**წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება**		**3**
9.3	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
9.4	წამყვანი სპეციალისტი პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
9.5	წამყვანი სპეციალისტი მიწერისა და კორესპონდენციებზე მუშაობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
9.6	**რეზერვისტთა აღრიცხვისა და მობილიზაციის განყოფილება**		**4**
9.7	განყოფილების უფროსი	უფროსი საჯარო თანამდებობა	1
9.8	წამყვანი სპეციალისტი რეზერვის სერჟანტების, მიჩმანების და რიგითების აღრიცხვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	2
9.9	წამყვანი სპეციალისტი რეზერვის ოფიცერთა აღრიცხვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
10	**გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში**		**23**
	სულ		**131**

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ"- დადგენილების თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ"- დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება.

აღნიშნული პროექტის მიღება იწვევს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის #46 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან ,,ნორმატიული აქტების შესახებ"- საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია